

ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია წმინდა მიწაზე

საქართველოსა და წმ. მიწას შორის ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით მჭიდრო ხდება IV ს-დან, საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ. ამ პერიოდიდან წმ. მიწაზე იქმნება ქართული კულტურისა და სამწერლობო კერები. შესაბამისად, ქართველები წმ. მიწაზე IV–V სს-დან ჩნდებიან (პეტრე იბერი) და ამ ტერიტორიაზე პირველი ქართული წარწერებიც ამ ეპოქით თარიღდება. ფაქტიურად, საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება – ერა ქრისტიანული ცივილიზაციისა და ქვეყნის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი წმ. მიწას უკავშირდება.

IV ს-დან მოყოლებული XIX ს-მდე ქართველები წმ. მიწაზე მრავალ სავანე-მონასტერში მოღვაწეობდნენ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი იქ არსებული მონასტრებისა და ლავრების მრავალრიცხოვან საკრებულოთა საქმიანობაში. წმ. მიწაზე მოღვაწე ქართველებს უთარგმნელი და აუთვისებელი არ დარჩენიათ პალესტინური მწერლობისა და კულტურის არცერთი მონაპოვარი, რომელიც შექმნილი იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა ერთობლივი ძალისხმევით.

წმ. მიწაზე დღემდე შემორჩენილია ქართველთა ნაშენი, მოხატული და ნაქონი ეკლესია-მონასტრები, მათი შეწირული ხატები თუ დასურათებული ხელნაწერები. ეს ყოველივე ადგილობრივ ოსტატებთან თანამშრომლობით იქმნებოდა და მისი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ ისტორიული პალესტინისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიის კვლევა და სრულად წარმოდგენა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი საქართველოსა და

წმ. მიწის ურთიერთობებისა და წმ. მიწაზე შემორჩენილი ქართული სიძველეებისადმი. დღეისათვის ნათელია, რომ წარსულისა თუ დღევანდელი მრავალი პრობლემის ჯეროვნად გაგება შეუძლებელია ამ ურთიერთობათა შესწავლის გარეშე. საქართველოსა და წმ. მიწის კავშირები ერთი მთლიანი და ურთულესი პრობლემის – მსოფლიო კულტურის კვლევის შემადგენელი ნაწილია და, შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო მოდელიც მის შესასწავლად. როგორც ქართველთა კვალი წმ. მიწაზე, ასევე იერუსალიმურ-პალესტინური გავლენა საქართველოში საუკეთესო საშუალებას გვაძლევს დაინახოთ კულტურული მსოფლიოს ერთიანობა და მასში შემავალი ქვეყნების საკუთარი წვლილი, თვალი გავადევნოთ კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლას, იდეათა გავრცელებისა და ურთიერთგადაკვეთის გზებს.

ყოველივე ამის გამო, ქართულ-პალესტინურ ურთიერთობათა სამეცნიერო მნიშვნელობამ ამ რამდენიმე წლის წინათ იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში წმ. მიწაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების კვლევის იდეა წარმოიშვა. ამ იდეის ავტორები



1. წმ. თეოდორეს ეკლესია-მონასტერი იერუსალიმსა და ბეთლემს შორის. ბირ ელ კატში (V-VI სს). (ფოტო დ. ცხადაძის)



2. წმ. სვიმეონ მართლის ეკლესია-მონასტერი (იგივე კატამონი) ახალ იერუსალიმში (XVI ს. მდე). (ფოტო დ. ცხადაძის)

ცნობილი ისრაელელი მეცნიერები არიან. ამ იდეამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მრავალ ქვეყანაში. ასე დაიწყო მუშაობა პროექტზე: "ქართველები წმ. მიწაზე". ამ პროექტზე სამუშაოდ ისრაელში შეიქმნა ქართული კულტურის ძეგლების კვლევის ხელშემწყობი საზოგადოება (თავმჯდომარე პროფ. ზ. რუბინი). საქართველოში კი სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან ჩამოყალიბდა სპეციალური სამეცნიერო ჯგუფი – "იერუსალიმის ექსპედიცია".

შემუშავდა ქართველ და ისრაელელ მეცნიერთა ერთობლივი მუშაობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით პროექტის პირველ ეტაპად განისაზღვრა ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე ქართულ სიძველეთა მოძიების, კვლევისა და ფიქსაციის მიზნით.

ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებისა და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო ხშირად გაისმოდა ჩვენს მიმართ ასეთი შეკითხვები: განა რა აუცილებელია წმ. მიწაზე



3. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მურისტანზე (XV ს.). (ფოტო დ. ცხადაძის)

სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა? და საერთოდ, ამ გაჭირვებისა და საომარი მოქმედებების უამს რა დროს ქართული კულტურის ძეგლების კვლევაა?

მაგრამ ჩვენ და ჩვენი უცხოელი კოლეგებიც დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს საშური იყო და აი, რატომ: აგერ უკვე თითქმის ორი საუკუნეა, რაც ქართველებმა მთლიანად დაკარგეს თავიანთი კუთვნილი ქონება წმ. მიწაზე და აქ უკვე აღარ მკვიდრობენ. დღეს ქართული სიძველენი სხვა მფლობელთა (ბერძენთა, სომეხთა, ლათინთა და ა. შ.) ხელშია. ამის გამო ქართველთა კვალი თანდათან ქრება. ის, რაც ტიმოთე გაბაშვილმა ნახა (XVIII ს.), აღ. ცაგარელს აღარ უნახავს (XIX ს.); ის, რაც აღ. ცაგარელმა ნახა, აღარ დახვდა ნ. მარს (XX ს.). უამთა სიავე თავისას შვრება. არის ქართულ სიძველეთა უნებლიე თუ განზრახ ხელყოფისა და ზოგჯერ მოსპობის ხშირი შემთხვევებიც, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტის მომსწრენი ჩვენც გავხდით. მხედველობაში მაქვს ძველ იერუსალიმში, წმ. ნიკოლოზის მონასტრის აღმოსავლეთის ფასადზე კახთა დედოფალ ელენეს მშვენიერი ქართული წარწერის განადგურება 2002 წლის მარტში. ეს წარწერა ამჟამად უკვე აღდგენილია იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან შეთანხმებით, თვით იერუსალიმის პატრიარქის, ირინეოს I-ის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით.

ქართული კულტურის ძეგლების გაქრობა არცთუ იშვიათი მოვლენაა. XX საუკუნის 60-იან წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან გაიტანეს 1643 წელს ლევან დადიანის დავალებით ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ მონასტრისადმი შეწირული ქართულწარწერიანი და უძვირფასესი ქვებით მოოჭვილი ჯვარი, თავისივე ვერცხლის ყუთით. იმ ადამიანთაგან, ვინც ეს ჩაიდინა, ერთ-ერთი ჯერ კიდევ ცოცხალია და დღემდე იგი საკმაო პატივითა და უფლებებით სარგებლობს იერუსალიმის საპატრიარქოში. ოდნავ მოგვიანებით, ამავე მონასტრიდან გაქრა საკურთხეველის მაცხოვრის ხატიც; მათი კვალი დღემდე არ ჩანს.

სხვადასხვა პერიოდში, XX საუკუნის დასაწყისში, შემდეგ 70-იანი წლების დასაწყისსა თუ 80-იანის დასასრულს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტაძრის კედლებიდან მრავალი ფრესკა ჩამოიხსნა, თითქოსდა რესტავრაციის მიზნით, მათი ნაწილი გაყიდულია და დღეს სხვადასხვა მუზეუმისა თუ კერძო კოლექციის საკუთრებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელ წლებში მოხსნილ ფრესკათაგან



4. წმ. ბასილის ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ ნაწილში (XIV-XV სს). (ფოტო დ. ცხადაძის)

მოხერხდა ოთხის და, ამასთან, ღვთისმშობლის ხატის საქართველოში დაბრუნება, ქართველი მეცენატების ბ-ნ ბადრი პატარკაციშვილისა და ბ-ნ სოსო ორჯონიკიძის წყალობით. ექსპედიციის მუშაობისას უმძიმეს პირობებში მოხერხდა კიდევ 4 ფრესკის, ერთი ქართული და ერთი არაბული წარწერის და უმშვენიერესი მოზაიკური იატაკის 10 დიდი ფილის მოძიება ჯვრის მონასტრის სარდაფებში. ასევე შესაძლებელი გახდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის წარწერიანი ბრინჯაოს დისკოს მონასტრის მუზეუმში შეტანა (დაცვის მიზნით). ეს დისკო ტრადიციულად ტაძრის ცენტრში, გუმბათის ქვეშ იდო და მასზე დღემდე მშვენივრად იკითხება შემდეგი სიტყვები: "მამანო დეკით მტკიცედ და შეურყეველად და მომიხსენეთ მე, ცოდვილი ჯვარის მამა ნიკიფორე" ქორონიკონსა ტკია (1643 წ.). და კიდევ მრავალი სხვა ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ მეტს აღარ გავაგრძელებ...

აი, რატომ იყო აუცილებელი ექსპედიციის მოწყობა, რათა ახლა მაინც აღგვერიცხა და დაგვეფიქსირებინა ის, რაც ჯერ კიდევ შემოგორჩა, ვიდრე გაყიდულა და საერთოდ გამქრალა. ამის საშიშროება არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ იქ, წმ. მიწაზე, არ მიხვდებიან, რომ ქართულ კულტურას, ქართულ ძეგლებს პატრონი ჰყავს და ასე იოლად არ შეიძლება მათი ხელყოფა.

ამას კი მიხვდებიან მაშინ, როდესაც საქართველოს სათანადო სახელმწიფო პოლიტიკა ექნება ახლო აღმოსავლეთში. ასეთი პოლიტიკა

ძლიერ საქართველოს მუდამ ჰქონდა ამ რეგიონში, ამგვარ პოლიტიკას შესანიშნავად ფლობდნენ ჩვენი წინაპრები. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ალბათ, მაინც ჯვრის მონასტრის მშენებლობის ისტორიაა.

დღესაც ამ ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენები ვითარდება, თამაშდება დიდი პოლიტიკა, რომელშიც მრავალი დიდი თუ პატარა სახელმწიფოა ჩართული და მათი უმეტესობა იქ მიმდინარე პროცესებს თავისი ქვეყნის სასარგებლოდაც იყენებს. თავი დავანებოთ იმას, რომ მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ თუ არაქრისტიანულ სახელმწიფოს თავისი კუთვნილი ტერიტორია გააჩნია წმ. მიწაზე. სამწუხაროდ, დღეს, ქართულ სახელმწიფოს აქ არათუ კუთვნილი მიწები, არამედ გარკვეული სახელმწიფო პოლიტიკაც კი არ გააჩნია და იგი, ჯერჯერობით, თავისი თავის დაფიქსირებასაც კი ვერ ახერხებს ამ რეგიონში.

მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენს წინაპართა გამოცდილების გამოყენებას, კარგად გავიაზრებთ ამ არეალის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის, ჩამოვაყალიბებთ და ცხოვრებაში გავატარებთ სათანადო გონივრულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, მაშინ გადავარჩენთ არა მარტო ჩვენი კულტურის უნიკალურ ნაწილს, შექმნილს ახლო აღმოსავლეთში, არამედ დაკარგულ ღირსებას და მის კუთვნილ საპატიო ადგილს დაგუბრუნებთ საქართველოს, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში მუდამ ეკავა ამ არეალში და ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს მისი დიდება წმ. მიწაზე.



5. წმ. ეკატერინეს ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (XIII-XIV, XV-XVII სს). (ფოტო დ. ცხადაძის)

* * *

2001 წლის 17 დეკემბრიდან 2002 წლის 1 აპრილამდე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ისრაელსა და პალესტინაში იმუშავა ქართველ მეცნიერთა კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომლის მიზანიც ქართულ სიძველეთა მოძიება, კვლევა და ფიქსაცია იყო. ექსპედიციას მეცენატობა გაუწია ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა (ფონდი "გამარჯვება").

ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები – ფილოლოგები, აღმოსავლეთმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, არქეოლოგები: თამილა მგალობლიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ცისანა აბულაძე, მზია სურგულაძე, ლილი ხევსურიანი, თინათინ ცერაძე, ლელა ხოფერია, დავით ცხადაძე (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი); გიორგი გაგოშიძე (საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმი); იულონ გაგოშიძე (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი); დავით ხოშტარია, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, მარიამ დიდუბელიძე, მზია ჯანჯალია (გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი); მონაზვნები დედა ევგენია და დედა თეკლე.

წმ. მიწაზე ქართველ მეცნიერთა ამ პირველმა კომპლექსურმა ექსპედიციამ 2001 წლის დეკემბრიდან 2002 წლის აპრილამდე უძძიმეს და ურთულეს პირობებში იმუშავა. ქართველთა სახელთან დაკავშირებული თითოეული ძეგლის, ცალკეული ნივთის, ხელნაწერისა თუ დოკუმენტის არა მარტო კვლევა და ფიქსაცია, არამედ მათი ნახვა-დათვალიერების ნებართვის მოპოვებაც კი უძძიმეს წინააღმდეგობათა გადალახვას მოითხოვდა. ამას თუ დაეუმატებთ იმასაც, რომ ამ რეგიონში საომარი მოქმედებების გამო, ხშირ შემთხვევაში ქართულ ძეგლებთან მისვლა "სნაიპერების მეთვალყურეობით ჭურვებზე გასეირნებას" უფრო წააგავდა, შეიძლება ითქვას, რომ იმ 400-ზე მეტი ფირის ყოველ კადრში, რომლებზეც ქართული სიძველეებია დაფიქსირებული, ექსპედიციის თითოეული წევრის უძძიმესი შრომა და "სისხლის წვეთებიც" კია ჩაღვრილი. მაგრამ მიუხედავად ურთულესი პირობებისა და მძიმე ფსიქოლოგიური დატვირთვისა არც ერთ ჩვენთაგანს თავი არ დაუხოგავს, რათა ბოლომდე მიეყვანა საქმე. ბუნებრივია, იყო შიში, რომ უამრავი ობიექტური ხელშეშლელი პირობის გამო, ვერ მოვასწრებდით დაგეგმილი სამუშაოს დასრულებას. და მხოლოდ საქართველოში დაბრუ-

ნებისას მივხვდით, რომ ექსპედიცია შედგა, მოვიპოვეთ წმ. მიწაზე ქართველთა ნაკვალევის ამსახველი მრავალი უცნობი და უმნიშვნელოვანესი, ძალზე მრავალფეროვანი მასალა, რომელიც წმ. მიწაზე ქართველთა კოლონიის ისტორიის უამრავ პრობლემას ჰყენს ნათელს და ერთხელ კიდევ დაგვანახებს, თუ რა იყო იერუსალიმი და წმ. მიწა საქართველოსთვის და რანი იყვნენ იქ მოღვაწე ქართველები.

ექსპედიციის შედეგად დაფიქსირდა ქართველთა სახელთან დაკავშირებული ოცდაათხუთმეტი მონასტერი, საეკლესიო ნივთები და ხელნაწერი დოკუმენტები. წაკითხულია და კალკაზე გადმოღებულია ოთხმოცდაათამდე ქართული წარწერა, მათ შორის ორმოცამდე უცნობი. აღინუსხა სხვადასხვა ეკლესიაში დაცული ქართულწარწერიანი ნივთები. აღიწერა მრავალი ცნობილი თუ უცნობი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, დამზადდა ბერძნულ საპატრიარქოში დაცული საბუთების ასლები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აქამდე უცნობი, ექსპედიციის მუშაობისას მიკვლეული ხელნაწერი, რომელიც მინიატურების დიდი რაოდენობით – ორმოცდარვა ილუსტრაციითაა შემკული და ტექსტშივე მას "ოქროს ოთხთავი" ეწოდება.

აღიწერა წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ამსახველი ოსმალური და არაბული დოკუმენტები.

პირველად მოხერხდა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის დათვალიერება-აღწერა და სამომავლო კვლევა-ძიების დასაწყებად საჭირო მასალის მომზადება. დაიგეგმა მონასტრის ხუროთმოძღვრული კომპლექსის შესწავლა.

ქართველ მეცნიერთა კვლევის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს როგორც წმ. მიწაზე მომუშავე ევროპელმა მეცნიერებმა, ასევე ისრაელელმა და იორდანიელმა მკვლევარებმა. დაგეგმილია იერუსალიმში წმ. ლოტის მღვიმის გათხრა ისრაელელ და ბერძენ არქეოლოგებთან ერთად; იორდანიაში წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქიონის – შეჰანის მონასტრის გათხრა არაბულ მხარესთან ერთად; განზრახულია პეტრე იბერის მიერ წმ. მიწაზე აშენებულ მონასტერთა მოძიება და რუკაზე დატანა ისრაელელ და პალესტინელ არქეოლოგებთან ერთად. ამგვარად, შემდგომ კვლევას შეიძლება გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობაც კი ჰქონდეს.


ექსპედიციის მიერ მოპოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა დღეს უკვე შეიძლება გამოიცეს რამდენიმე, უხვად ილუსტრირებული ალბომის სახით ქართულ და



6. ქართველთა ახლადმიკვლეული მონასტერი უმ ლეიზონში, იერუსალიმის მახლობლად. კრიპტა. (V-VI სს.). (ფოტო დ. ცხადაძის)

ინგლისურ ენებზე (რამდენიმე უცხოურმა გამომცემლობამ უკვე გამოსატა დაინტერესება ამ საკითხით). ეს ალბომებია:

1. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ისტორია, არქიტექტურა, კედლის მხატვრობა)
2. ქართველები წმ. მიწაზე (წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ადგილების გზამკვლევი რუკით, ფერადი ილუსტრაციებითა და ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო ანოტაციებით)
3. "ოქროს ოთხთავი" (ახლად აღმოჩენილი XV-XVI სს-ის დასურათებული ხელნაწერის ფოტოილუსტრაციები მოკლე განმარტებითი ტექსტით)
4. იერუსალიმი – მცხეთა (ორი დედაქალაქის ერთმანეთთან დაკავშირებული წმინდა ადგილების ფოტოალბომი რუკებითა და ანოტაციებით)
5. ქართული ნაქარგობის ნიმუშები წმ. მიწაზე (წმ. მიწაზე შემორჩენილი ქართული ნაქარგობის ნიმუშების ფოტოალბომი)
6. წმ. მიწაზე შემორჩენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსი



7. უმ ლეიზონში ქართველთა ახლადმიკვლეული მონასტრის კრიპტაში აღმოჩენილი წარწერა. (V-VI სს.) (ფოტო დ. ცხადაძის)

7. ასევე დაგეგმილია ექსპედიციის შედეგების ამსახველი ფოტო გამოფენის მოწყობა უახლოეს მომავალში

გარდა ამისა, ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა შეიქმნას წმ. მიწაზე არსებულ ქართულ სიძველეთა საინფორმაციო ბანკი, ინტერნეტ-გვერდი და ა.შ.

ექსპედიციის მუშაობის დროს ერთი მეტად უსიამოვნო ფაქტი მოხდა: იერუსალიმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე უცნობმა პირებმა მოანგრიეს ელენე კახთა დედოფლის, სილამაზითა და დახვეწილობით გამორჩეული XVII ს-ის წარწერა. საბედნიეროდ, წარწერა დაზიანებამდე იქნა დაფიქსირებული და კალკაზე გადმოტანილი ექსპედიციის წევრების მიერ. ქართველ მეცნიერთა პროტესტისა და დაჟინებული მოთხოვნის შედეგად იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო დათანხმდა ამ წარწერის აღდგენას პირვანდელ ადგილზე.

2002 წლის 16 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე ისრაელში იმუშავა ქართველ მეცნიერთა მეორე ექსპედიციამ, რომლის მიზანი იყო 2002 წლის გაზაფხულზე განადგურებული, წმ. ნიკოლოზის ტაძრის კედელზე არსებული XVII ს-ის ქართული წარწერის აღდგენა.

ექსპედიცია განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს თაოსნობითა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: თამილა მგალობლიშვილი, ექსპედიციის ხელმძღვანელი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი); გიორგი გაგოშიძე (ხელოვნებათმცოდნე, ეპიგრაფისტი, საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმი); დავით ცხადაძე (ხელოვნებათმცოდნე, ფოტოგრაფი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი); პაატა გიგაური (მოქანდაკე).

ექსპედიციის მუშაობის შედეგად აღდგენილ იქნა ქართული წარწერა. ამასთანავე, სრულიად მოულოდნელად, ქართული ექსპედიცია ისრაელელი არქეოლოგის, ჯონ ზელიგმანის მიერ ძველი იერუსალიმის მახლობლად დღემდე უცნობი ქართული მონასტის ნანგრევებისა და წარწერის აღმოჩენის მომსწრე გახდა. ექსპედიციის მონაწილეთა მიერ მონასტერი და ქართული წარწერა, სავარაუდოდ, V-VI სს-ით დათარიღდა (ილ. 6, 7).

ქართველ და ისრაელელ მეცნიერთა მიერ მომავალში დაგეგმილია ხსენებული მონასტრის ერთობლივი გათხრა და კვლევა.

ქართველთა კუთვნილი ეკლესია-მონასტრები წმინდა მიწაზე

1. წმ. იაკობ სპარსის მონასტერი დავითის კოშკთან (V ს.);*
2. წმ. თეოდორეს ეკლესია-მონასტერი იერუსალიმსა და ბეთლემს შორის, ბირ ელ კატში (V- VI სს.);
3. ქართველთა ახლადმიკვლეული მონასტერი უმ ლეიზონში, იერუსალიმის მახლობლად (V-VI სს.);
4. წმ. იაკობის ეკლესია-მონასტერი (XI-XII სს.). ამჟამად სომხური საკათედრო ტაძარი ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში;
5. წმ. ჯვრის ეკლესია-მონასტერი, ახალი იერუსალიმის ცენტრში (XI-XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
6. კაპპათას მონასტერი, ზუსტი მდებარეობა უცნობია (XI-XIII სს.);



9. წმ. დიმიტრის ეკლესია ე.წ. დიდი ბერძნული მონასტრის ტერიტორიაზე (XIII-XIV, XVI სს.). (ფოტო დ. ცხადაძის)

7. ცოუნების მთის მონასტერი (Deir el Quruntul), იერიქოს მახლობლად (XIII-XIV სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

8. პრეტორიუმის მონასტერი ძველი იერუსალიმის არაბულ უბანში, ვია დოლოროსაზე (XIV ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

9. წმ. იოანე მახარებლის ეკლესია-მონასტერი ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, იგივე სვეტის ანუ ამუდის მონასტერი, ახალ კარიბჭესთან (XVI ს.). ამჟამად ფრანცისკელთა ორდენის კუთვნილი წმ. მსხნელის (St. Salvatore) ეკლესია;

10. წმ. სვიმეონ მართლის ეკლესია-მონასტერი (იგივე კატამონი) ახალ იერუსალიმში (XVI ს-მდე). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

11. წმ. თეკლას ეკლესია ე.წ. დიდი ბერძნული მონასტრის ტერიტორიაზე (XIII-XIV, XV-XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

12. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მურისტანზე (XV ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;



8. წმ. საფლავის ეკლესია ძველ იერუსალიმში (XI-XVIII სს.). (ფოტო დ. ცხადაძის)

13. წმ. ბასილის ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (XIV-XV სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
14. ებრაელთა უბნის წმ. გიორგის ეკლესია ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში (XV ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
15. წმ. ეკატერინეს ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (XIII-XIV, XV-XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
16. წმ. ანგელოზთა მონასტერი მღვდელმთავარ ანას სახლის ადგილზე, იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ტერიტორიაზე, ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში (XV-XVI, XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს;
17. წმ. ჯვრის მეტოქი წმ. ნიკოლოზის მონასტერი, მღვდარე წმ. ჯვრის მონასტერთან (XVI-XVII სს.). ამჟამად მთლიანად განადგურებულია;
18. წმ. დიმიტრის ეკლესია ე.წ. დიდი ბერძნული მონასტრის ტერიტორიაზე (XIII-XIV, XVI სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
19. წმ. თევდორეთა ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (XIII-XIV, XVI-XVII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;
20. წმ. ნიკოლოზის ეკლესია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრი-



10. წმ. ნიკოლოზის ეკლესია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ტერიტორიაზე. (XVII ს.)

არქოს ტერიტორიაზე (XVII ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

21. წმ. ანას ეკლესია ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (XVII -XVIII სს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;

22. წმ. აბრაამის ეკლესია-მონასტერი წმ. საფლავის ეკლესიასთან (XVIII ს.). ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს;



11. წმ. საბას ლავრა იუდეის უდაბნოში (VI საუკუნიდან). (ფოტო დ. ცხადაძის)

წმინდა მიწის ეკლესია-მონასტრები, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ
სხვა ეროვნების ბერ-მონაზვნებთან ერთად:

23. მაიუმის საეპისკოპოსო ეკლესია-მონასტერი, ქ. ღაზა (V ს.);
24. წმ. საბას ღავრა იუდეის უდაბნოში (VI საუკუნეიდან);
25. წმ. თეოდოსიუსის ღავრა იუდეის უდაბნოში (VI ს.);
26. ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია და გეტსიმანია ზეთისხილის მთაზე (IX, XII, XIV, XV, XVI სს.);
27. დერტუფას მონასტერი, ზუსტი მდებარეობა უცნობია (XI-XII სს.);
28. დევთუბნის მონასტერი, ზუსტი მდებარეობა უცნობია. შესაძლებელია, ეს იყოს იგივე დერტუფას მონასტერი (კაქკელიძე) (XIII-XIV სს.);
29. წმ. საფლავის ეკლესია ძველ იერუსალიმში (XI-XVIII სს.);
30. წმ. ხარიტონის ღავრა იუდეის უდაბნოში (X-XI სს.);
31. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი მდ. იორდანესთან (XI-XII სს.);
32. წმ. სამოელ წინასწარმეტყველის ეკლესია-მონასტერი ე.წ. სისარულის მთაზე, იერუსალიმის მახლობლად (Nabi Samwil) (XI-XII სს.);
33. წმ. იოანე ოქროპირის მონასტერი იუდეის უდაბნოში (XI-XII სს.);
34. წმ. გერასიმეს ღავრა და კალამონის მონასტერი მდ. იორდანესთან (XI-XII სს.);
35. წმ. იოანე ნათლისმცემლის, იგივე დერტავის მონასტერი იერუსალიმში, ზუსტი მდებარეობა უცნობია (XI-XIII სს.);
36. შობის ეკლესია ბეთლემში (XIV ს.);

* აქ და ყველგან ქართველთა კუთვნილ ეკლესია-მონასტრებთან თუ მათი მოღვაწეობის ადგილებთან მითითებული საუკუნეები მოყვანილი გვაქვს სხვადასხვა (ქართულ და უცხოენოვან) წერილობით წყაროთა მონაცემების შესაბამისად.